შპს ჯორჯიან კონტემპორარი
კონსტრაკშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY
CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

07.03.2017 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩის მეორე შესახვევის N1ა ში ასაშენებელი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური 6 სართულიანი შენობის კონსტრუქციული სქემის განხორციელებადობასთან დაკავშირებით

2017 წლის 2 მარსს შპს ,,ბრიქსი ვარკეთილი,,-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა საექსპერტო შეფასება ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩის მეორე შესახვევის N1ა ში ასაშენებელი 6 სართულიანი, მრავალფუნქციური შენობის წარმოდგენილი, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების, არქიტექტორული გადაწყვეტებისა და კონსტრუქციული სქემის საფუძველზე.

საცხოვრებელი შენობის მესაკუთრე შპს „ევრაზია“.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია: ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები;არქიტექტორული გადაწყვეტები და შენობის მზიდი კონსტრუქციების როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის სქემები.

შენობა შედგება 6 მიწისზედა სართულისა და 1 მიწისქვეშა სართულისაგან, რომელიც ძირითადად განკუთვნილია ავტოფარეხებისათვის. პირველი მიწისზედა სართული კომერციულია, დანარჩენ 6 სართულზე საცხოვრებელი ბინებია განთავსებული.

შენობა გეგმაში შედგება 2 ერთმანეთისაგან სეისმიური ნაკერით გამოყოფილი ბლოკისაგან, ეს ბლოკები გაერთიანებული არიან 700მმ სისქის საძირკვლის ფილით, საძირკვლის ფილა თავის მხრივ ეყრდნობა 900მმ დიამეტრის დგარ ნაბურღნატენ ხიმონჯებს რომლებიც არანაკლებ 1.5მ სიღრმეზე ჩაანკერებულია ძირითად ქანში (ფენა-5. ქვიშაქვებისა და არგელითების მორიგეობა), რომლის ნორმატიული წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს: Rc,n=900ტ/მ².

ერთსართულიანი ავტოფარეხის ნაწილი მთლიანად გამოყოფილია ძირითადი ბლოკებისაგან დეფორმაციული ნაკერით. ერთსართულიანი ავტოფარეხის საძირკვლის ფილის სისქე 400მმ-ია და დაფუძნებულია თიხოვან გრუნტზე (ფენა 4), რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა შეადგენს: R₀=20ტ/მ².

შენობის მიწისქვეშა სართულის სიმაღლე შეადგენს H=3,მ; პირველი სართულის სიმაღლე H=4მ.-ია დანარჩენი ზედა სართულების კი H=3,3მ; მაქსიმალური მალი შეადგენს L=6.6მ.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით(A=0.17);გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II.

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ²(15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ² (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

წარმოდგენილი კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობის ტიპი კარკასულ-კავშირებიანი სისტემისაა. წარმოდგენილი არქიტექტორულ გეგმარებით გადაწყვეტების შესაბამისად, შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტა შემდეგია: შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომებია: 49.0X29.6მ. 6 სართულიანი შენობა სარდაფით, შენობის ჩონჩხედი-კარკასულ კავშირებიანი სისტემისაა, რომელიც შედგება: 700მმ სისქის რკინაბეტონის საძირკვლის ფილით, სარდაფისა და პირველი სართულის რკინაბეტონის სვეტების განივი კვეთის ზომები 500X500მმ, ზემოთ შენობის ბოლომდე რკინაბეტონი სვეტების განივი კვეთის ზომები 400X400მმ-ს შეადგენს. სარდაფის კედლები რკინაბეტონის, სისქე 300მმ. რიგელები სარდაფისა და პირველი სართულის გადახურვის დონეზე 500X500მმ-ია, ხოლო ზემოთ კი 400X500მმ. შენობას გააჩნია ორი კიბის უჯრედი, რომელიც კონსტრუქციულ გადაწყვეტაში გამოყენებულია, როგორც სიხისტის ბირთვი და მუშაობს როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ძალების განაწილების მიზნით საკმაოდ ეფექტურად. ერთსართულიანი მიწისქვეშა ავტოფარეხი ძირითადი შენობისაგან გამოყოფილია სეისმური ნაკერით. ერთსართულიანი მიწისქვეშა ავტოფარეხის საძირკვლის ფილა 400მმ-ია, სარდაფის კედლები რკინაბეტონის, სისქე 300მმ. სვეტების განივი კვეთის ზომები 400X400მმ. გადახურვის ფილის სისქე კი 20სმ-ს შეადგენს. ბეტონის კლასი სიმტკიცის მიხედვით, ყველა მზიდი კონსტრუქციისათვის B25.

საანგარიში სქემის მიხედვით, სტატიკური დატვირთვები და დინამიკური ზემოქმედებები განიხილება შემდეგი სახით:

1) მუდმივი*(სტატიკური)* დატვირთვა.
2) დროებითი ხანგრძლივი*(სტატიკური)* დატვირთვები:
3) ხანმოკლე *(სტატიკური)*დატვირთვები:

ა) *დროებითი სასარგებლო დატვირთვები*СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»-ისმიხედვით.

ბ) *ქარის სტატიკური დატვირთვები „X„ მიმართულებით.*

გ) *ქარის სტატიკური დატვირთვები „Y„ მიმართულებით.*

დ) *თოვლის დატვირთვა;*

4) სეისმური ზემოქმედება განიხილება სპექტრული მეთოდით სეისმური თვისებებით II კატეგორიის გრუნტისათვის 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე:

ა) სეისმური ზემოქმედება „X„ მიმართულებით;

ბ) სეისმური ზემოქმედება „Y„ მიმართულებით;

გ) სეისმური ზემოქმედება დიაგონალური 45^0 მიმართულებით.

დასკვნა:

ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩის მეორე შესახვევის N1ა-ში ასაშენებელი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობის წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაცია: საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები, არქიტექტორული გადაწყვეტები და კონსტრუქციული სქემები შედგენილია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების

მოთხოვნების მიხედვით და ეძლევა დადებითი რეკომენდაცია, შენობის კონსტრუქციული მუშა ნახაზების დამუშავებისათვის.

დირექტორი გ.ჩიკვაიძე

ექსპერტები:

ინჟინერ-მშენებელი,
მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის წევრი,
შენობა-ნაგებობათა ავტომატიზებული მეთოდებით
კვლევისა და პროექტირების ინჟინერი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯონი გიგინეიშვილი

ინჟინერ-მშენებელი თემურ მაცაბერიძე

ქ. თბილისი
07.03.2017წ

ДИПЛОМА

№ № 163170

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

АПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 23 января 1973 г. (протокол № 19)

присвоено ученое звание
ПРОФЕССОРА
ПО КАФЕДРЕ
биологии и иностранных яз.

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 0102?010539

გუგა

ჭოხონელიძე

16.02.1928 წ.

თბილისი

№ 0266413

თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქეგ- ნყოფილება

29.09.2000 წ.

ბ.ა.